ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229726446

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია
ფაქტობრივი მისამართი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია
საფოსტო ინდექსი	1900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	saprasia@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 3 26 0000372710, 27.03.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 29-30 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია, ერთი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია, ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი საპრასია, ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის MES 3 26 0000372710 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლაში მის.: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. საპრასია. ა.წ . 29 და 30 აპრილს

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის დაგეგმვა და განვითარება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	სკოლამ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და უზრუნველყოს კომპეტენტური სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	სკოლამ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები სკოლის ინფრასტრუქტურის შშმ პირთა საჭიროებებზე მოსარგებად. მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობა, რათა შენობის მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირთათვის გარემო გახდეს სრულად ხელმისაწვდომი.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	სკოლის მიერ შემუშავებული ხედვა ზოგადი და დეკლარაციულია. სასურველია, სკოლამ დააკონკრეტოს საკუთარი ხედვა ისე, რომ ის იყოს მკაფიო, გაზომავდი და რეალისტური. ხედვაში უნდა აისახოს: კონკრეტულად რა შედეგის მიღწევა სურს სკოლას საშუალო ან/და გრძელვადიან პერსპექტივაში. ხედვა უნდა იყოს სკოლის განვითარების რეალური გზამკვლევი. სასურველია სკოლის ხედვა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: ✓ სად გვინდა ვიყოთ 5-10 წლის შედეგ? ✓ რა იქნება სკოლის მთავარი გამოწვევა? ✓ რა გავლენას მოახდენს მოსწავლეებზე?

ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლისა და SWOT ანალიზის შესახებ, რომელიც მეტწილად რეალისტურად ასახავს სკოლის მდგომარეობას (შეფასებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები). თუმცა დოკუმენტში ნაკლებად იკვეთება შინაარსობრივი კავშირი SWOT ანალიზსა და სტრატეგიულ ამოცანებს შორის. სტრატეგიული განვითარების გეგმის პრაქტიკული ღირებულების გაზრდის მიზნით, სასურველია, თითოეულ სტრატეგიულ ამოცანას მიეთითოს - SWOT ანალიზში გამოკვეთილ რომელ კონკრეტულ სუსტს მხარეს ან საფრთხეს პასუხობს იგი. ასევე, მიზანშეწონილია, შესაბამისობის მატრიცის შემუშავება.
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში დეკლარაციული ფრაზების ნაცვლად ჩაიწეროს ისეთი ქმედებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია SWOT ანალიზით გამოვლენილი პრობლემის აღმოფხვრასთან, რაც შესაძლებელს გახდის სკოლის პროგრესი შეფასდეს ობიექტურად.
ინდიკატორი N1.2.2.4.	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	სკოლას მიეცა რჩევა: მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ. თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას (გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა.). სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს*	სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაცია სრულად არ ასახავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს (იმ გარემოს, რეალობასა და გამოწვევებს, რომელშიც იგი ფუნქციონირებს). ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი სასურველია ეფუძნებოდეს იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელშიც სკოლა ფუნქციონირებს. ექსპერტთა მოსაზრებით, კონტექსტის სათანადოდ განსაზღვრა აუცილებელია, რათა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი იყოს რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული. კონტექსტის არასათანადო აღწერა ართულებს როგორც შიდა პროცესების სწორად დაგეგმვას, ისე მიღებული შედეგების ეფექტიან შეფასებას. არსებული გარემო (სკოლაში არის 22 მოსწავლე და 20 მასწავლებელი) აჩვენებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული მოდელი სრულად ვერ პასუხობს მცირეკონტინგენტიანი და მაღალმთიანი სკოლის საჭიროებებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული მოსწავლის მიმართ და მასწავლებელთა ფუნქციურ ინტეგრაციას. სასურველია, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდებოდეს კონტექსტზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება: ✓ მცირეკონტინგენტიანი სკოლის საჭიროებები; ✓ მასწავლებლების დამატებითი ფუნქციები (მენტორობა, შიდა შეფასება, პროექტების მართვა), რათა რესურსი გამოყენებული იქნას ეფექტიანად; ✓ შიდა შეფასების მოქნილი სისტემა: დაინერგოს მარტივი, მაგრამ რეგულარული მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმი (მაგ., ინდივიდუალური პროგრესის შეფასება); ✓ ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება: ციფრული რესურსების გამოყენება, ონლაინ ტრენინგები.

		✓ საზოგადოებასთან თანამშრომლობა: ადგილობრივი თემის ჩართვა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირეკონტინგენტიანი დასახლებისთვის. ✓ პრიორიტეტების განსაზღვრა: აქცენტი გაკეთდეს რეალურად გავლენიან მიმართულებაზე (სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა ჩართულობა და სხვ.) და არა სტანდარტის ფორმალურ შესრულებაზე.
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*	სკოლას მიეცა რჩევა: ✓ მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვის თაობაზე. ✓ გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.
ინდიკატორი N3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	სკოლას მიეცა რჩევა: ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბ) ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემთა დაცვის

		ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია აცნობოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.
ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. ვინაიდან ინფრასტრუქტურა სასწავლო პროცესის ხარისხის ერთ-ერთი ფუნდამენტური წინაპირობაა, მიზანშეწონილია, სკოლის დირექციამ გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართულებით. სკოლას მიეცა რჩევა: • ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	ბიბლიოთეკის დათვალიერებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუერების შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებული საბიბლიოთეკო ფონდი მწირია და სრულად ვერ პასუხობს მოსწავლეთა საგანმანათლებო საჭიროებებს. შესაბამისად მიზანშეწონილია მისი განახლება და მრავალფეროვანი რესურსებით გამდიდრება. სკოლას მიეცა რჩევა: • საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.
ინდიკატორი N3.6.1.2.	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად*	მოსწავლეებთან ინტერვიუების შედეგად მაღალი ინტერესი გამოიკვეთა სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გამოყენების მიმართ. სკოლას მიეცა რჩევა:

		• უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	სკოლას მიეცა რჩევა: • შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად: დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა.
ინდიკატორი N4.2.1.5.	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	სკოლას მიეცა რჩევა: • სპორტის გარდა, სხვა მიმართულებებითაც გააძლიეროს არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელება. • მოსწავლეთა ჩართულობისა და ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, თავადაც დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სპორტული აქტივობა და ჩემპიონატი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	• სკოლამ კურიკულუმის განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები კიდევ უფრო სისტემურად აღწეროს და უზრუნველყოს მიღებული უკუკავშირის შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტური ასახვა.
ინდიკატორი N2.1.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	• სკოლამ კურიკულუმის განვითარების პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგები უფრო დეტალურად ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. • სკოლამ პერიოდულად შეაფასოს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება კურიკულუმის განხორციელების პროცესთან მიმართებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის.
ინდიკატორი N2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	• სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შედეგები და მიღებული უკუკავშირის გავლენა კურიკულუმის განვითარებაზე უფრო დეტალურად ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. • სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის ფორმები კიდევ უფრო გააძლიეროს.
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	• სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმთან დაკავშირებული ინფორმაციის პერიოდული განახლება და სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით გავრცელება, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ

		ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა საგანში მოხდეს კურიკულუმის ჩარჩოების ინიციალიზაცია, ანუ მიეთითოს შესაბამისი საგნის პედაგოგის სახელი და გვარი. • გაიწეროს თემებთან დაკავშირებული საათობრივი დატვირთვა თითოეულ საგანთან მიმართებაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **სამივე საფეხრუზე** • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე და ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, სამივე საფეხურზე (მე - 5 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით) მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში). დავალებებთან მიმართებაში გამოყონ ცნებები. **სახელმწიფო ენა** • **საშუალო საფეხურზე** ტერმინი „თემა“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ქვეთემა“. • სასურველია, **სამივე საფეხურზე** შემუშავდეს ერთნაირი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო, მასწავლებელთა შეთანხმების საფუძველზე.

		მათემატიკა • კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების იდეა/პირობა **სამივე საფეხურზე** იყოს უფრო მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული. დავალებაში ნათლად გამოიკვეთოს, რა მოეთხოვება მოსწავლეს შესასრულებლად, რა ტიპის პროდუქტი უნდა შექმნას, რა ფორმით უნდა წარმოადგინოს ნამუშევარი და რა კრიტერიუმებით შეფასდება მის მიერ წარმოდგენილი დავალება. • **საბაზო საფეხურზე,** კერძოდ, მე-10 კლასში წარმოდგენილი შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავლების იდეა/პირობა ფორმულირდეს ისე, რომ იგი მეტად იყოს ორიენტირებული ნასწავლი ცოდნის გამოყენებაზე, ანალიზზე, პრობლემის გადაჭრასა და სხვადასხვა უნარის ინტეგრირებულად გამოყენებაზე რეალურ ან მოდელირებულ სიტუაციაში. • **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** (III, IV, VIII და IX კლასებში) გაიზარდოს შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა პროგრესის უფრო სისტემური და მრავალმხრივი შეფასება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** • სკოლამ გააგრძელოს კურიკულუმის სისტემური განვითარება და უზრუნველყოს მისი განხორციელების პროცესის ანალიზი. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, დაფიქსირდეს, რამდენად იქნა მიღწეული ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრული მიზნები, ასევე რომელი გამოწვევები გამოიკვეთა და რა ხელისშემშლელმა ფაქტორებმა იმოქმედა შედეგებზე. რეკომენდებულია, კურიკულუმის ჩარჩოს დაემატოს

		სპეციალური შენიშვნების გრაფა, რაც უზრუნველყოფს დაგროვილი გამოცდილების სისტემატიზაციასა და გაზიარებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, ისე მათი მიღწევების უფრო ობიექტურ და სიღრმისეულ შეფასებას.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** • კურიკულუმის ჩარჩოები სრულყოფილად დამუშავდეს შესაბამისი სტანდარტის გათვალისწინებით. • დავალების იდეა მკაფიოდ, მიზნობრივად და სტანდარტებთან თანხვედრაში გაიწეროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** • კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები სრულყოფილად გაიწეროს შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით. • შესასწავლი თემის ფარგლებში მკაფიოდ დაკონკრეტდეს ძირითადი საკითხები და კომპლექსური დავალების იდეა. • თითოეულ საკითხთან მიმართებით კონკრეტულად განისაზღვროს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცნებების მკვირდრი წარმოდგენების სიღრმისეულ გააზრებას. • კომპლექსური დავალებების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში მითითებული სამიზნე ცნებები იყოს თანხვედრაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობა და შიდა ლოგიკური ერთიანობა.

		უცხოური ენები **სამივე საფერხურზე** • საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები უფრო სრულყოფილად და დეტალურად გაიწეროს. • სამიზნე ცნების ქვეცნებები მკაფიოდ დაკონკრეტდეს თემასთან და ძირითად საკითხთან მიმართებით. • შეირჩეს მოსწავლეთა ცოდნა-გამოცდილებისთვის შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზებაც მოსწავლეს ეტაპობრივად მიიყვანს სამიზნე ცოდნის - ქვესაკითხების, ქვეცნებებისა და სამიზნე ცნებების - არსის გააზრებამდე. • კონკრეტულ სამიზნე ცოდნასთან მიმართებით გამოყენებულ იქნეს რამდენიმე კონტექსტ-მაგალითი, რაც უზრუნველყოფს ცნებების მრავალმხრივ გააზრებასა და სწავლების ეფექტიანობას. • კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაინტეგრირდეს პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** • დავალებები გამდიდრდეს მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის ზრდას. • კურიკულუმებში მიეთითოს ელექტორნული რესურსების მისამართები, რომელთა ნამდვილობაც წინასწარ იქნება გადამოწმებული. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		სამივე საფეხურზე • კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, შეირჩეს მოსწავლეთა ასაკისა დონის შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსები. **უცხოური ენები** **სამივე საფეხრუზე** • კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასურველია, შეირჩეს მოსწავლეთა ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი ელექტრონული რესურსი. **ესთეტიკური აღზრდა** **სამივე საფეხურზე** • კურიკულუმებში რესურსებისთვის განკუთვნილი გრაფა გადაიხედოს და სრულყოფილად დამუშავდეს. მნიშვნელოვანია, სრულად და თანმიმდევრულად შეივსოს ყველა ველი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემურობას. • გადამოწმდეს წარმოდგენილი რესურსების ვალიდურობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა როგორც განსახილველ თემასთან, ისე დაგეგმილ აქტივობებსა და დავალებებთან. • განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ელექტრონულ ბმულებს - არამოქმედი ბმულები გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს სანდო და ფუნქციონირებადი წყაროებით, რათა რესურსები პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებადი იყოს.

ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე:** • სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მათ შორის, როგორ ხდება დავალებების ადაპტირება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის. **უცხოუერი ენები** **სამივე საფერხურზე:** • კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას მეტად მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის აქტიური და თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში.ს
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** • შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და თემის ინდიკატორებს. • შემუშავდეს კონკრეტული დავალების/აქტივობის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. • **საბაზო და საშუალო საფეხურებზე**, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს. • **დაწყებით საფეხურზე** განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობოდეს დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		სამივე საფეხურზე • კათედრამ თითოეული თემის ფარგლებში შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს, რამდენად აღწევს მოსწავლე შედეგების ინდიკატორებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. **უცხოური ენები** **სამივე საფეხურზე** • ყველა თემის ფარგლებში, სტანდარტით გათვალისიწნებულ შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. • შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს კონკრეტული სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი ან საკითხი) შესწავლის შედეგად მიღწეული შედეგები. • სტანდარტის მოთხოვნების სრულად დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. • შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ გაცემული რეკომენდაციები შეესაბამებოდეს მისაღწევ მიზნებსა და მოსწავლეთა ენის ფლობის დონეს. **საბაზო და საშუალო საფეხურზე** • ყველა თემის ფარგლებში, სტანდარტით გათვალისიწნებულ შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **სამივე საფეხურისთვის**

		• განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების პირობაში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და მოთხოვნები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობასა და მის შესაბამისობას დავალების შინაარსთან.
ინდიკატორი N2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	• სკოლამ პერიოდულად შეაფასოს განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შედეგიანობა. • სკოლამ მოსწავლეთა ინტერესებისა და სოციალური ჩართულობის გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით უფრო მეტად დაგეგმოს ერთობლივი სასწავლო და პროექტული აქტივობები.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **სამივე საფეხური** • კონკრეტული თემიებისთვის მომზადდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. • შემაჯამებელი სამუშაოს დავალების თითოეულ ტიპს ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა და მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. **უცხოური ენები** **სამივე საფეხურზე** • შეფასების რუბრიკების შედგენისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით (იხ. საგნობრივი სტანდარტი, ცხრილი 4) და ეს

		კრიტერიუმები დაკონკრეტდეს კონკრეტული თემის შინაარსის შესაბამისად.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმებში თითოეულ თემას, ძირითად რესურსთან ერთად, ერთვოდეს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი და შესაბამისი ონლაინ რესურსების აქტიური ელექტრონული ბმულები.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** • ვინაიდან სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ჩვენებას შესაბამისი კაბინეტ-ლაბორატორიისა და მატერიალური რესურსების არქონის გამო, **საბაზო და საშუალო საფეხურზე,** გამოიყენოს რესურსები სხვადასხვა პლატფორმიდან და ამ გზით უზრუნველყოს მოსწავლეთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვიზუალურად აღსაქმელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **საბაზო და საშუალო საფეხურზე** • სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის კაბინეტის გამოყოფა და მისი აღჭურვა სველი წერტილით, ამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირით ცდების ჩასატარებლად, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. • სკოლამ ინტენსიურად გამოიყენოს ვირტუალური ლაბორატორია და რესურსები სხვადასხვა ონლაინ

		პლატფორმიდან, მოსწავლეებისათვის შესასწავლი მასალის ვიზუალურად აღქმის გასამარტივებლად.
ინდიკატორი N2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	• საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ანგარიშებში უფრო დეტალურად გამოიკვეთოს გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები. • სკოლამ პერიოდულად შეაფასოს შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი მხარდამჭერი აქტივობების შედეგები.
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	• სკოლამ კიდევ უფრო გააძლიეროს თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების გამოყენების პრაქტიკა. • სკოლამ სხვადასხვა საგანში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და რუბრიკების გაზიარების პრაქტიკა უფრო სისტემურად დანერგოს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლის მიერ 2026 წლის 22 მაისის №MES 1 26 0000610137 კორესპონდენციით წარმოდგენილ იქნა ავტორიზაციის დასკვნის პროექტში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (შემდგომში — შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა).კერძოდ, წარმოდგენილ იქნა სკოლის პერსონალზე გაცემული ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულით სკოლის მიერ №3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით დადგენილი ხარვეზი სრულად არის აღმოფხვრილი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ დახმარებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა (წარმოდგენილია მიმართვის დამადასტურებელი კორესპონდენცია). ხარვეზების აღმოფხვრის სავარაუდო ვადად სკოლას მითითებული აქვს ორი წელი.

ექსპერტთა შეფასებით, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობის შემთხვევაში, აღნიშნულ ვადაში ხარვეზების აღმოფხვრა რეალისტურია. შესაბამისად, №3.4.1.1 და №3.5.1.4 ინდიკატორები ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა აღზარდოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ფასეულობების მომხრე, პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტი თაობა, რომელიც მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.“

სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები. კერძოდ, სკოლის ხედვაა - „დაიკავოს მოწინავე ადგილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი განათლების მიმწოდებელთა შორის და იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა“.

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ფუნდამენტური პროცესია, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიზნებს: მისია (რატომ ვარსებობთ) აყალიბებს დღევანდელ ფუნქციას, ხედვა (რა გვინდა ვიყოთ) – მომავლის სურათს, ხოლო ღირებულებები – ქცევის პრინციპებს.

მნიშვნელოვანია, რომ მისია და ხედვა იყოს რეალისტური, შთამაგონებელი და ყველასთვის გასაგები.

სკოლის მიერ შემუშავებული ხედვა ზოგადი და დეკლარაციულია. სასურველია, სკოლამ დააკონკრეტოს საკუთარი ხედვა ისე, რომ ის იყოს მკაფიო, გაზომავდი და რეალისტური. ხედვაში უნდა აისახოს: კონკრეტულად რა შედეგის მიღწევა სურს სკოლას საშუალო ან/და გრძელვადიან პერსპექტივაში. ხედვა უნდა იყოს სკოლის განვითარების რეალური გზამკვლევი.

სასურველია სკოლის ხედვა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- ✓ სად გვინდა ვიყოთ **5-10** წლის შედეგ?
- ✓ რა იქნება სკოლის მთავარი გამოწვევა?
- ✓ რა გავლენას მოახდენს მოსწავლეებზე?

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიისა და ხედვის შინაარსით სკოლა მოიაზრებს საკუთარ როლს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას. სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით), რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2-39 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებით, სკოლის პერსონალთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შიდა სასკოლო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა განაცხადი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ და მის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (N1 21.01.2025 და N2 19.03.2025). აღნიშნული დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება მოხდა სამუშაო

ფორმატში. კერძოდ: სამუშაო შეხვედრები გაიმართა სასკოლო საზოგადოებასთან - დირექციის, დამრიგებლებისა და კათედრის ხელმძღვანელების ჩართულობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და ცნობილია დაინტერესებული ყველა მხარისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“).
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
2. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
3. სტრატეგიული დაგეგვმის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
4. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N2-38 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და სხვა ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის 2025 წლის 10 აპრილის N3 სხდომის ოქმში აღნიშნული ინფორმაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფის ფორმატში ჩამოყალიბდა სკოლის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით, განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 04.09.2025)

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2025-2032 წწ), რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ, განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულ დოკუმენტებს შორის შესაბამისობას. დოკუმენტი მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და თითოეული მიზნის შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლისა და SWOT ანალიზის შესახებ, რომელიც მეტწილად რეალისტურად ასახავს სკოლის მდგომარეობას (შეფასებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები). თუმცა დოკუმენტში ნაკლებად იკვეთება შინაარსობრივი კავშირი SWOT ანალიზსა და სტრატეგიულ ამოცანებს შორის.

სტრატეგიული განვითარების გეგმის პრაქტიკული ღირებულების გაზრდის მიზნით, სასურველია, თითოეულ სტრატეგიულ ამოცანას მიეთითოს თუ SWOT ანალიზში გამოკვეთილ რომელ კონკრეტულ სუსტს მხარეს ან საფრთხეს პასუხობს იგი. ასევე მიზანშეწონილია შესაბამისობის მატრიცის შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის განვითარების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 04.09.2025 წ). სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულო განვითარების გეგმას. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების განხილვა/შეფასება დასრულებული არ არის, რის გამოც ვერ ფასდება სამოქმედო გეგმის ყოველწლიურ თვითშეფასებასთან კავშირის ხარისხი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური.
მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში დეკლარაციული ფრაზების ნაცვლად ჩაიწეროს ისეთი ქმედებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია SWOT ანალიზით გამოვლენილი პრობლემის აღმოფხვრასთან, რაც შესაძლებელს გახდის სკოლის პროგრესი შეფასდეს ობიექტურად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წწ.
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-12 თავი, რომლის თანახმადაც სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - სემესტრების დასრულებისას (დეკემბერში ან იანვარსა და ივნისში).

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის. თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის შეფასებული. თუმცა სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მოსალოდნელი შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის შეფასებული. თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა:** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების აღწერის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-16 06.09.2024 წ), რომელიც აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, საგნის მასწავლებლები (20 მასწავლებელი). სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები: დამლაგებელი (ორი), დარაჯი (ორი), ექთანი. სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა), რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქცია-მოვალეობების აღწერის შესახებ დოკუმენტი;
2. საშტატო განრიგი;
3. შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია:
ა) სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;
ბ) დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;
გ) დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი (რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-17 30.06.2026 წ). დოკუმენტის მიზანია სკოლის ადამიანური რესურსების მართვა ისე, რომ თითოეული თანამშრომელი ეფექტურად იყოს ჩართული სკოლის პრევენციულ და ინტერვენციულ სისტემებში. პოლიტიკა ეფუძნება სკოლის კონკრეტულ საჭიროებებსა და მიზნად ისახავს დროულ რეაგირებას გამოწვევებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით. სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის N 2-18 ბრძანება).
სკოლის მიერ 2026 წლის 22 მაისის №MES 1 26 0000610137 კორესპონდენციით წარმოდგენილ იქნა ავტორიზაციის დასკვნის პროექტში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, წარმოდგენილ იქნა სკოლის პერსონალზე გაცემული ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულით სკოლის მიერ დასკვნის პროექტში გამოვლენილი ხარვეზი სრულად არის აღმოფხვრილი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ. სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი), რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი
2. შრომითი ხელშეკრულება შემცვლელ მასწავლებელთან
3. შრომითი ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან.
5. მასწავლებელთა პირადი საქმეები
6. პერსონალის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს

სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა;
- აქტიური მონაწილეობის წახალისება;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-20 მუხლის თანახმად პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს:

- პროფესიული განვითარება განიხილება, როგორც ყოველდღიური და უწყვეტი პროცესი. შესაბამისად, პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი კეთდება სწავლის, გააზრებისა და მხარდაჭერის პროცესზე და არა შეფასებით დამოკიდებულებაზე.
- შეფასება განიხილება, როგორც განვითარებისკენ მიმართული კონსტრუქციული უკუკავშირი. შეფასებისა და უკუკავშირის პროცესი ეფუძნება კოლეგიალურ მხარდაჭერას, გუნდურ თანამშრომლობას, მიზნობრივ დაგეგმვას, პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიას.
- სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთნდობა განიხილება განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძვლად. ურთიერთობები ეფუძნება ნდობასა და მხარდაჭერას, ხოლო პროფესიული განვითარება ორიენტირებულია პერსონალის შესაძლებლობების წარმოჩენასა და გაძლიერებაზე და არა მათი შეზღუდვების ხაზგასმაზე. პროფესიული განვითარების პროგრამები განიხილება, როგორც ხანგრძლივი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით, დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას პერსონალის კარიერული ზრდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
2. სკოლის შინაგანაწესი.
3. სკოლის პერსონალის ტრენინგ-კურსებში მონაწილეობის მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტი, ასევე, არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, სტანდარტული მიდგომების გამოყენებით.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და ხარისხის შიდა მექანიზმების შესწავლით გამოიკვეთა, რომ გასაუმჯობესებელია საგანმანათლებლო საქმიანობის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული მიმართულებები, კერძოდ:

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაცია სრულად არ ასახავს სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს (იმ გარემოს, რეალობასა და გამოწვევებს, რომელშიც იგი ფუნქციონირებს). ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი სასურველია ეფუძნებოდეს იმ სპეციფიკურ გარემოს, რომელშიც სკოლა ფუნქციონირებს.

ექსპერტთა მოსაზრებით, კონტექსტის სათანადოდ განსაზღვრა აუცილებელია, რათა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი იყოს რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული. კონტექსტის არასათანადო აღწერა ართულებს როგორც შიდა პროცესების სწორად დაგეგმვას, ისე მიღებული შედეგების ეფექტიან შეფასებას.

არსებული გარემო (სკოლაში არის 22 მოსწავლე და 20 მასწავლებელი) აჩვენებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული მოდელი სრულად ვერ პასუხობს მცირეკონტინგენტიანი და მაღალმთიანი სკოლის საჭიროებებს. შესაბამისად მიზანშეწონილია ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული მოსწავლის მიმართ და მასწავლებელთა ფუნქციურ ინტეგრაციას.

სასურველია, საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდებოდეს სკოლის საქმიანობის სპეციფიკისა და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

- ✓ მცირეკონტინგენტიანი სკოლის საჭიროებები;
- ✓ მასწავლებლების დამატებითი ფუნქციები (მენტორობა, შიდა შეფასება, პროექტების მართვა), რათა რესურსი გამოყენებული იქნას ეფექტიანად;
- ✓ შიდა შეფასების მოქნილი სისტემა: დაინერგოს მარტივი, მაგრამ რეგულარული მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმი (მაგ: ინდივიდუალური პროგრესის შეფასება);
- ✓ ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება: დისტანციური რესურსების გამოყენება, ონლაინ ტრენინგები, ციფრული პლატფორმები;
- ✓ საზოგადოებასთან თანამშრომლობა: ადგილობრივი თემის ჩართვა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირეკონტინგენტიანი დასახლებისთვის.

- ✓ პრიორიტეტების განსაზღვრა: აქცენტი გაკეთდეს რეალურად გავლენიან მიმართულებაზე (სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა ჩართულობა და სხვ.) და არა სტანდარტის ფორმალურ შესრულებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მმართველობითი და დამხმარე პროცესები, კერძოდ: მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის N2-13 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ , რომლიც არეგულირებს სკოლაში წარდგენილი განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს.
სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N2-04 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი.
აღნიშნული დოკუმენტაციით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დირექციის და მასწავლებლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს ვებგვერდებს. (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი).
დირექციის განმარტებით, სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებისა და მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება საქმისმწარმოებელს ეკისრება. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, იგი სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შესაბამის შემდგომ ადრესატს.
სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი).
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (N2-06 28.02.2019 წ)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, ტერიტორია არის შემოღობილი. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი.
სკოლის შიდა და გარე სივრცე აღჭურვილი არ არის ვიდეო-სათვალთვალო სისტემით.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის N06/ნ ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად ,,სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვამდე, საგანმანათლებლო დაწესებულების

უფლებამოსილი პირი ახორციელებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის მხოლოდ არადისტანციურ დათვალიერებას, მანდატურის სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.“

აღნიშნული გარემოების გამო, **სკოლას მიეცა რჩევა** მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვის თაობაზე.

სკოლას აქვს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ბ) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (გაცემული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2026 წლის 25 მარტს), რომლის თანახმადაც სასწავლო კორპუსის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი უწყების მიმართვა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, კერძოდ სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი (N106 23.03.2026 წ), რომლითაც დადგენილია სკოლის შენობის შეუსაბამობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს, რომ სკოლამ უნდა წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, აღნიშნული მიდგომა ფორმალურად უზრუნველყოფს სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუმცა მნიშვნელოვანია შეფასდეს მისი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სახანძრო უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობების შესრულება სკოლისთვის არის სავალდებულო.

მოცემულ შემთხვევაში იკვეთება შემდეგი გარემოებები:

- **ფორმალური შესაბამისობა**

სკოლა ფორმალურად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნას (მიმართვის წარდგენა).

- **ფაქტობრივი შეუსაბამობა**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შემოწმების აქტი) პირდაპირ მიუთითებს, რომ შენობა-ნაგებობა არ აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს. აქტში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვადა დადგენილი არ არის.

მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ მიმართვის არსებობა ვერ ჩაითვლება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელ გარემოებად და ტოვებს მნიშვნელოვან მომეტებულ რისკს, როგორც ფიზიკური უსაფრთხოების, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

სკოლის მიერ 2026 წლის 22 მაისის №MES 1 26 0000610137 კორესპონდენციით წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებამ დახმარებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა (წარმოდგენილია მიმართვის დამადასტურებელი კორესპონდენცია). ხარვეზების აღმოფხვრის სავარაუდო ვადად სკოლას მითითებული აქვს ორი წელი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და უზრუნველყოს კომპეტენტური სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ მოწყობილია ექთნის კაბინეტი. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **სკოლის ექთნის მიერ წარმოებს** გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა,

ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ასევე სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (№41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი) დადგენილ მოთხოვნებთან.
სკოლის მიერ შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2-10 ბრძანებით). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია (შინაგანაწესის 23-ე მუხლი) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი. კერძოდ, შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დირექციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის N2-20 ბრძანებით). სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 დეკემბრის N2-37 ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯეროვნად უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. სკოლის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. მოწყობილია შშმ პირებზე ადაპტირებული სველი წერტილი. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2-11 ბრძანებით). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. იგი არეგულირებს სკოლის მიერ - სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით - შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N1/კ-15 ბრძანებით გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N 2-16 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები.

სკოლას მიეცა რჩევა:

ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია აცნობოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, რომლის თანახმადაც მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებულ პროცესს წარმოადგენს. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს ყველა პირის პერსონალურ მონაცემთა დაცვას, რისთვისაც განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გამოყოფის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულობის განსაზღვრის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
- სკოლის ექთნის დიპლომი
- სკოლის ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესი;

• სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის შენობა (840,6 კვმ) და შესაბამისი მიწის ფართობი (2763 კვმ) სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასწავლო შენობა ორსართულიანია, რომელშიც განთავსებულია 9 საკლასო ოთახი, მათ შორის პირველ სართულზე 3 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე სართულზე 6 საკლასო ოთახი. დაწყებით/საბაზო საფეხურზე შექმნილია კლას-კომპლექტები.

გარდა საკლასო ოთახებისა, შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, დირექტორის ოთახი, ექთნის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, სამასწავლებლო, სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი ოთახი.

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას.

ვინაიდან ინფრასტრუქტურა სასწავლო პროცესის ხარისხის ერთ-ერთი ფუნდამენტური წინაპირობაა, მიზანშეწონილია, სკოლის დირექციამ გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართულებით.
სკოლას მიეცა რჩევა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობასა და მიუკერძოებელ დამოკიდებულებას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობის პროცესში. ამასთან, რესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან მოტივატორად განიხილება მასწავლებლებისთვის, რათა სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 2-09. 23-01-2026), დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ –კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა.
ბიბლიოთეკის დათვალიერებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუერების შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებული საბიბლიოთეკო ფონდი მწირია და სრულად ვერ პასუხობს მოსწავლეთა საგანმანათლებო საჭიროებებს, შესაბამისად მიზანშეწონილია მისი განახლება და მრავალფეროვანი რესურსებით გამდიდრება.

სკოლას მიეცა რჩევა საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მოთხოვნით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლის მიერ 2026 წლის 22 მაისის №MES 1 26 0000610137 კორესპონდენციით წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად შენობის მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ დახმარებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა (წარმოდგენილია მიმართვის დამადასტურებელი კორესპონდენცია). ხარვეზების აღმოფხვრის სავარაუდო ვადად სკოლას მითითებული აქვს ორი წელი.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები სკოლის ინფრასტრუქტურის შშმ პირთა საჭიროებებზე მოსარგებად. მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობა, რათა შენობის მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირთათვის გარემო გახდეს სრულად ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. კერძოდ, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ სკოლაში კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
- სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას აქვს სტანდარტული ლეპტოპები, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები და ერთი პროექტორი, რომელის გამოყენებაც შესაძლებელია სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს ინტერნეტზე წვდომა და

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მოქმედი შიდა მექანიზმებით უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის.
სკოლას განსაზღვრული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-08 23.01.2026 წ). რომელიც არეგულირებს რესურსებით სარგებლობის პირობებს.
სკოლის პერსონალთან ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დასტურდება, რომ დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ბაზით.
მოსწავლეებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, მაღალი ინტერესი სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გამოყენების მიმართ.
სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური ინტეგრირება საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლაში მატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი.
2. სკოლის ინვენტარიზაციის მასალები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-14 06.09.2024 წ), რომელიც განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს.
წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვის პროცესში გამოიყენება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - eschool.emis.ge. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - e-flow გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად - აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის დირექციასთან და საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი.
- eschool.emis.ge

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით, სკოლა იყენებს ვებგვერდს. აღნიშნულ ელექტრონულ რესურსზე სკოლა პერიოდულად განათავსებს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს არსებული ინფორმაციის განახლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები. მიღებული უკუკავშირი კი გამოიყენოს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ამ ეტაპზე არ არის შეფასებული და შესაბამისად გამოქვეყნებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება). სკოლის მიერ წარმოდგენილია 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცებაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებს. კერძოდ, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.
სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი - მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით - დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 8 08.12.2025 წ).
სკოლაში საბიუჯეტო პროცესი მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სკოლის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ფინანსური საქმიანობის ანგარიშის განხილვაზე.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს. მასში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია.
საბაზო საფეხურზე არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. საშუალო საფეხურზე ირიცხება ერთი მოსწავლე, შესაბამისად, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები არ არის ჩატარებული.
სკოლის შიდა რეგულაციით, მოსწავლეებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არის მკაფიო და გამჭვირვალე. სკოლის მიერ წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში

მოსწავლეებს აცნობს უფლებებს და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. დირექციის განმარტებით, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი
3. მშობელთა კრების ოქმები
4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ: კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;
ბ) მოსწავლეთა მობილობა;
გ) საფეხურის დაძლევა;
დ) მოსწავლის სტატუსის შეჩერება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. გარდა აღნიშნული საშუალებებისა, ინფორმაციის მიწოდება სასკოლო საზოგადოებისთვის ხდება სამუშაო შეხვედრებზეც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი და გამჭვირვალე. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებას და დაინტერესებულ პირთათვის მიწოდებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი.
- სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-02 20.01.2026წ.), რომლის თანახმადაც - სკოლა დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს სხვადასხვა ტიპის ბარიერის არსებობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტით, აგრეთვე, დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. იგი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებისა და თავისებურების შესახებ. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აქტიურია სკოლის როლი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. **სკოლას მიეცა რჩევა** შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში კი, გათვალისწინებულ იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად: დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა: მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული სპორტული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლა აქტიურად მონაწილებს და საპრიზო ადგილებსაც იკავებს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სპორტულ ჩემპიონატში.
სკოლის მიერ შემუშავებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-03 20.01.2026 წ). დოკუმენტის მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებები და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება.
სკოლას მიეცა რჩევები:

- სასურველია, სკოლამ სპორტის გარდა, სხვა მიმართულებებითაც გააძლიეროს არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელება.

- სასურველია, სკოლამ მოსწავლეთა ჩართულობისა და ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, თავადაც დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა სპორტული აქტივობა და ჩემპიონატი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული სასკოლო პროექტების მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით, კლასის დამრიგებელი - სადამრიგებლო საათის ფარგლებში - მოსწავლეებ აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიებთან დაკავშირებით. სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლე დარეგისტრირებულია კარიერული განვითარების პლატფორმაზე. პლატფორმა აერთიანებს თვითშემეცნების

ინსტრუმენტებს, პროფესიონალებთან შეხვედრებს და პერსონალურ მენტორინგს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დირექციასთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა სათანადო ინფორმირებაზე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ ჰყოლია, თუმცა დირექცია შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ატარებს საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების გამოკითხვას, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების განსაზღვრაში. გამოკითხვის შედეგები და მიღებული უკუკავშირი სკოლას აძლევს შესაძლებლობას უკეთ დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლასის დამრიგებლის პორტფოლიო.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის N 2-41 ბრძანებით). სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, მაგრამ აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების რეგულაცია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო განათლების საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2ს-40), რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის შექმნისა და განვითარების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას. მეთოდოლოგია ითვალისწინებს ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მონაწილეობას, ინფორმირების, უკუკავშირისა და თანამშრომლობის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით.
ამასთან, დოკუმენტში ხაზგასმულია სკოლის საჭიროებების, რესურსების, შესაძლებლობებისა და საგანმანათლებლო კონტექსტის შეფასების მნიშვნელობა, რაც ქმნის სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას კურიკულუმის განვითარების პროცესში.

რჩევა:

- სკოლამ კურიკულუმის განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები კიდევ უფრო სისტემურად აღწეროს და უზრუნველყოს მიღებული უკუკავშირის შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტური ასახვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით იკვეთება, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მონაწილეობას, მათ ინფორმირებასა და თანამშრომლობას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის დანერგვა წარმატებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მისი შინაარსი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს მის განვითარებაში. ამასთან, მეთოდოლოგია ყურადღებას ამახვილებს სკოლის საჭიროებების, რესურსების, პრიორიტეტებისა და საგანმანათლებლო კონტექსტის შეფასებაზე, რაც ქმნის სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და მოლოდინების კურიკულუმში ასახვის საფუძველს.
გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ პროცესები ისე მიმდინარეობს, როგორც დოკუმენტებშია აღწერილი. მოსწავლეებიც ადასტურებენ, რომ მათი სურვილები და ინტერესები გათვალისწინებულია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე თუ პროექტზე მუშაობისას.
შედეგად, კურიკულუმი წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს, არამედ რეალურად ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებსა და საჭიროებებს.
რჩევები:

- სკოლამ კურიკულუმის განვითარების პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგები უფრო დეტალურად ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში.
- სკოლამ პერიოდულად შეაფასოს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება კურიკულუმის განხორციელების პროცესთან მიმართებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „მათემატიკისა და ისტ-ის კათედრის სხდომის ოქმი N1 – 04.09.2025“, მე-5 კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 - 16.09.2025) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავება ეფუძნება თანამშრომლობით და სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებულ მიდგომას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, პროცესში მონაწილეობენ მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია, ხოლო თანამშრომლობა მოიცავს როგორც კონსულტირებას, ისე ერთობლივ მუშაობასა და შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღებას.

დოკუმენტში, ასევე, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია ყველა მასწავლებელი, რომლებიც ერთობლივად გეგმავენ სასწავლო თემებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება კათედრის სხდომის ოქმით, სადაც ასახულია 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმთან დაკავშირებული საკითხების კოლეგიური განხილვა და საკითხების დამტკიცება.

ამასთან, წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმი ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის პრაქტიკას. დოკუმენტში ასახულია, რომ მშობლებს გააცნეს სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის სკოლის მისია, სასწავლო პროცესის ორგანიზება, შეფასების სისტემა და საგნობრივი მიმართულებები. ჰქონდათ კითხვების დასმისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობაც.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ კურიკულუმის შემუშავება სკოლაში ხორციელდება კოლეგიური თანამშრომლობისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის საფუძველზე.

რჩევები:

- სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შედეგები და მიღებული უკუკავშირის გავლენა კურიკულუმის განვითარებაზე უფრო დეტალურად ასახოს შესაბამის დოკუმენტაციაში.
- სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის ფორმები კიდევ უფრო გააძლიეროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, მე-5 კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 - 16.09.2025,) და დამატებითი მასალების (სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ჟურნალი) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სრული ვერსიის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე, მითითებულია, რომ მშობელთა ინფორმირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს კურიკულუმის სკოლის ვებგვერდზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის გაზიარება. ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებაზე კურიკულუმის განვითარების პროცესთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებას, კერძოდ მშობლებს, გაეცნოთ სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის: სკოლის მისია, სასწავლო პროცესის ორგანიზება, შეფასების სისტემა და საგნობრივი მიმართულებები. დოკუმენტში, ასევე, ასახულია მშობლების შესაძლებლობა - დაესვათ კითხვები და გამოეთქვათ მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი: მშობლებისა და მოსწავლეების ნაწილს კურიკულუმთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები სრულად არ ახსოვდა ან არ ჰქონდა სათანადოდ გააზრებული. ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისთვის და ქმნის ინფორმირების და კომუნიკაციის შესაბამის მექანიზმებს.

რჩევა:

- სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმთან დაკავშირებული ინფორმაციის პერიოდული განახლება და სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით გავრცელება, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდეთ ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ბრძანება კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N 2ს-40)
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- მათემატიკისა და ისტ-ის კათედრის სხდომის ოქმი N1 – 04.09.2025
- მე-5 კლასის მშობელთა კრების ოქმი N1 - 16.09.2025
- სკოლის ვებგვერდი
- ელექტრონული ჟურნალი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემოწმებული კურიკულუმების ანალიზმა და გასაუბრებამ ცხადყო, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგები მუშაობენ შეთანხმებულად, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ხედვებს, რასაც იყენებენ თავიანთ პრაქტიკაში. ისინი ისწრაფვიან სწორად დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული და ინკლუზიური სასწავლო პროცესი. ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე**

	• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა საგანში მოხდეს კურიკულუმის ჩარჩოების ინიციალიზაცია, ანუ მიეთითოს შესაბამისი საგნის პედაგოგის სახელი და გვარი. • გაიწეროს თემებთან დაკავშირებული საათობრივი დატვირთვა თითოეულ საგანთან მიმართებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილია **სამივე საფეხურის** კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა საგანში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა). ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა თუ როგორ დაგეგმოს, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. კათედრას აქვს მზაობა, მრავალფეროვანი გახადოს სწავლა-სწავლების პროცესი. **რჩევა:** **სამივე საფეხრუზე** • საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე და ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, სამივე საფეხურზე (მე - 5 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით) მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში). დავალებებთან მიმართებაში გამოყონ ცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია **სამივე საფეხურის** ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც თემების მიხედვითაა გაწერილი ერთ სასწავლო წელზე. დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა როგორ დაგეგმოს, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი სასწავლო ერთეულები მოსწავლის განვითარებასა და შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. **რჩევები:** • **საშუალო საფეხურზე** ტერმინი „თემა“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ქვეთემა“. • **სამივე საფეხურზე** შემუშავდეს ერთნაირი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩო, მასწავლებელთა შეთანხმების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სსიპ - შოთა ხურციძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ საპრასიის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები არის მკაფიოდ სტრუქტურირებული და სისტემურად დაგეგმილი. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზნობრივ და თანმიმდევრულ წარმართვას. კურიკულუმი, ისევე როგორც მასში განსაზღვრული შუალედური მიზნების მისაღწევად შემუშავებული დავალებები: • უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ და ლოგიკურ დაგეგმვას;

	• ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ კურიკულუმი არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს, არამედ გამოიყენება როგორც პრაქტიკული სამუშაო ინსტრუმენტი. იგი აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს როგორც საგნობრივი კომპეტენციების, ისე კრიტიკული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ეფუძნება იმ ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჰოლისტურ განვითარებაზე. **რჩევები:** • კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების იდეა/პირობა **სამივე საფეხურზე** იყოს უფრო მკაფიოდ და დეტალურად ფორმულირებული. დავალებაში ნათლად გამოიკვეთოს, რა მოეთხოვება მოსწავლეს შესასრულებლად, რა ტიპის პროდუქტი უნდა შექმნას, რა ფორმით უნდა წარმოადგინოს ნამუშევარი და რა კრიტერიუმებით შეფასდება მის მიერ წარმოდგენილი დავალება. • **საბაზო საფეხურზე,** კერძოდ, მე-10 კლასში წარმოდგენილი შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავლების იდეა/პირობა ფორმულირდეს ისე, რომ იგი მეტად იყოს ორიენტირებული ნასწავლი ცოდნის გამოყენებაზე, ანალიზზე, პრობლემის გადაჭრასა და სხვადასხვა უნარის ინტეგრირებულად გამოყენებაზე რეალურ ან მოდელირებულ სიტუაციაში. • **დაწყებით და საბაზო საფეხურებზე** (III, IV, VIII და IX კლასებში) გაიზარდოს შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების რაოდენობა, რათა

	უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა პროგრესის უფრო სისტემური და მრავალმხრივი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები შესაძლებლობას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტმაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **რჩევა:** • სკოლამ გააგრძელოს კურიკულუმის სისტემური განვითარება და უზრუნველყოს მისი განხორციელების პროცესის ანალიზი. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, დაფიქსირდეს,

	რამდენად იქნა მიღწეული ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრული მიზნები, ასევე რომელი გამოწვევები გამოიკვეთა და რა ხელისშემშლელმა ფაქტორებმა იმოქმედა შედეგებზე. რეკომენდებულია, კურიკულუმის ჩარჩოს დაემატოს სპეციალური შენიშვნების გრაფა, რაც უზრუნველყოფს დაგროვილი გამოცდილების სისტემატიზაციასა და გაზიარებას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, ისე მათი მიღწევების უფრო ობიექტურ და სიღრმისეულ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. თუმცა აღსანიშნავია, რომ დავალების იდეა უფრო დაზუსტებულ აღწერას მოითხოვს და საჭიროებს ჩასწორებას. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე** • კურიკულუმის ჩარჩოები სრულყოფილად დამუშავდეს შესაბამისი სტანდარტის გათვალისწინებით. • დავალების იდეა მკაფიოდ, მიზნობრივად და სტანდარტებთან თანხვედრაში გაიწეროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მოიცავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ საკითხებს. კურიკულუმებში გაწერილი თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეთათვის ფუნქციური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ამ მიზნით პედაგოგები ახორციელებენ პროექტებს სამივე საფეხურზე. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე** • კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები სრულყოფილად გაიწეროს შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით. • შესასწავლი თემის ფარგლებში მკაფიოდ დაკონკრეტდეს ძირითადი საკითხები და კომპლექსური დავალების იდეა. • თითოეულ საკითხთან მიმართებით კონკრეტულად განისაზღვროს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცნებების მკვირდრი წარმოდგენების სიღრმისეულ გააზრებას. • კომპლექსური დავალებების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში მითითებული სამიზნე ცნებები იყოს თანხვედრაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობა და შიდა ლოგიკური ერთიანობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტის მოთხოვნებს. მათში გათვალისწინებულია ენობრივი კომპეტენციების განვითარება და მოსწავლეთა უნარებზე ორიენტირებული სწავლების ელემენტები.

	სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავება მოსწავლეს დაეხმარება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში. **რჩევები:** **სამივე საფერხურზე** • საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები უფრო სრულყოფილად და დეტალურად გაიწეროს. • სამიზნე ცნების ქვეცნებები მკაფიოდ დაკონკრეტდეს თემასთან და ძირითად საკითხთან მიმართებით. • შეირჩეს მოსწავლეთა ცოდნა-გამოცდილებისთვის შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზებაც მოსწავლეს ეტაპობრივად მიიყვანს სამიზნე ცოდნის - ქვესაკითხების, ქვეცნებებისა და სამიზნე ცნებების - არსის გააზრებამდე. • კონკრეტულ სამიზნე ცოდნასთან მიმართებით გამოყენებულ იქნეს რამდენიმე კონტექსტ-მაგალითი, რაც უზრუნველყოფს ცნებების მრავალმხრივ გააზრებასა და სწავლების ეფექტიანობას. • კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაინტეგრირდეს პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სრულად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მიზანმიმართულად არის ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან შედეგების მიღწევაზე. აღნიშნული კურიკულუმები არა მხოლოდ ითვალისწინებს დარგობრივი ცოდნისა და უნარების განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და სიღრმისეულობას. კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები და საკვანძო კომპეტენციები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ახალი ცოდნა და უნარები დაუკავშირონ საკუთარ გამოცდილებას,

	რაც ხელს უწყობს მათ გააზრებასა და პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებას. ამგვარი მიდგომა ქმნის პირობებს, რომ სწავლა იყოს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებაზე ორიენტირებული, არამედ გამოცდილებაზე დაფუძნებული, რაც საბოლოოდ აძლიერებს მოსწავლეთა კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, თვითგამოხატვის უნარსა და ინდივიდუალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. გარდა საგნობრივი ცოდნისა, არსებული კურიკულუმები წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლე განვითარდეს ჰოლისტურად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ეფუძნება მასში განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და მოსალოდნელ შედეგებს. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია როგორც გრძელვადიანი, ასევე საფეხურებისა და კლასების მიხედვით განსაზღვრული მიზნები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ და მიზნობრივ განვითარებას. კურიკულუმში ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპები, მათ შორის: • მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება; • ცოდნის ტრანსფერისა და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა; • კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება; • ფუნქციური და საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბება. კურიკულუმში განსაზღვრული თემები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის თემატიკასთან. შუალედური მიზნები და შესაბამისი აქტივობები ლოგიკურად უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მოსალოდნელ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პროგრესის თანმიმდევრულ განვითარებას. მასწავლებლებთან

	ინტერვიუთი დადასტურდა, რომ კურიკულუმს იყენებენ როგორც პრაქტიკულ სამუშაო ინსტრუმენტს, რომლის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს, არჩევენ შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს და აფასებენ მოსწავლეთა მიღწევებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების რეალურ განხორციელებას სასწავლო პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების უხვი რაოდენობით არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას - გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტმაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის ტრანსფერში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. ისინი იცნობენ და კურიკულუმის შემუშავების

	პროცესში იყენებენ საგნობრივ სტანდარტს, ასევე გეგმავენ მის გამოყენებას კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დავალებების სრულყოფილად დასაძლევად, კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს ძირითადი და დამხმარე რესურსებით გამდიდრებას სხვადასხვა პლატფორმიდან, რათა მოსწავლეებისთვის დავალებების გაგება და შესრულება უფრო მარტივი და საინტერესო იყოს. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე** • დავალებები გამდიდრდეს მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის ზრდას. • კურიკულუმებში მიეთითოს ელექტორნული რესურსების მისამართები, რომელთა ნამდვილობაც წინასწარ იქნება გადამოწმებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები (მაგალითად: რუკა, სახელმძღვანელოს რვეული). ასევ წარმოდგენილია ელექტრონული რესურსები (სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით საგნებში: „მე და საზოგადოება“ და „მოქალაქეობა“). დასახელებულ რესურსებში იკვეთება მიზნობრიობა. **რჩევა:**

	სამივე საფეხურზე • კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, შეირჩეს მოსწავლეთა ასაკისა დონის შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელო და ისეთი დამხმარე რესურსები, როგორებიცაა: სამუშაო რვეული, აუდიო მასალა. დაწყებით საფეხურზე ნაწილობრივ წარმოდგენილია ციფრული რესურსებიც. **რჩევა:** **სამივე საფეხრუზე** • კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასურველია, შეირჩეს მოსწავლეთა ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი ელექტრონული რესურსი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები მიზანმიმართულად არის შერჩეული და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას, ასევე ამარტივებს როგორც სწავლების, ისე სწავლის პროცესს. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმებში რესურსებისთვის განკუთვნილი გრაფები სრულად და თანმიმდევრულად არ არის შევსებული, რის გამოც მათი გამოყენების მიზანი და კავშირი სასწავლო პროცესთან ყოველთვის მკაფიო არ არის. წარმოდგენილი რესურსების ნაწილი სრულად არ შეესაბამება თემებსა და დაგეგმილ აქტივობებს. ასევე, ფიქსირდება არამოქმედი ელექტრონული ბმულები, რაც რესურსების პრაქტიკაში გამოყენებას ართულებს. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე**

	• კურიკულუმებში რესურსებისთვის განკუთვნილი გრაფა გადაიხედოს და სრულყოფილად დამუშავდეს. მნიშვნელოვანია, სრულად და თანმიმდევრულად შეივსოს ყველა ველი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემურობას. • გადამოწმდეს წარმოდგენილი რესურსების ვალიდურობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა როგორც განსახილველ თემასთან, ისე დაგეგმილ აქტივობებსა და დავალებებთან. • განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ელექტრონულ ბმულებს - არამოქმედი ბმულები გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს სანდო და ფუნქციონირებადი წყაროებით, რათა რესურსები პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებადი იყოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვასა და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები მიზანმიმართულად გამოიყენება სასწავლო პროცესში. რესურსების შერჩევა და გამოყენება შეესაბამება სწავლების შინაარსს და ემსახურება მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადად სკოლა მათემატიკაში იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ხანის აკადემიას, ტელესკოლის მასალებს, გეომეტრიულ ფიგურების მოდელებს. მასწავლებლები რესურსებს იყენებენ რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, პრაქტიკული უნარების განვითარებას და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. საერთო ჯამში, რესურსების ეფექტური გამოყენება ქმნის პირობებს, სადაც შესაძლებელია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვანი და ხარისხიანი მიღწევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება სრულყოფილად გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, დაგეგმილია შემდეგი რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეს ჰქონდეს შედეგზე ორიენტირებული და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის სასწავლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე მასალები (სხვადასხვა ციფრული თუ მატერიალური რესურსები). აღნიშნული რესურსები მიზნად ისახავს საგნობრივი სტანდარტების ეფექტიანად მიღწევას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გასაუბრებისას გაირკვა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული დავალებები, რაც ხელს უწყობს პროცესის სინქრონიზაციას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ

	ზოგჯერ უწევთ დავალებების შეცვლა მოსწავლეთა საჭიროებების და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქვთ დიფერენცირებული დავალებების შეთავაზების მიდგომები და მოდიფიცირებული რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნერებების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ეს მოსწავლეებს აძლევთ შესაძლებლობას, საკუთარი ცოდნა, შეხედულებები და დამოკიდებულებები გამოხატონ მათთვის მისაღები და კრეატიული ფორმებით. **რჩევა:** **სამივე საფეხურზე:** • სასწავლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მათ შორის, როგორ ხდება დავალებების ადაპტირება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ცდილობენ შესთავაზონ დიფერენცირებული მიდგომები და მოდიფიცირებული რესურსები. თუმცა კომპლექსური დავალებები ნაკლებად არის მორგებული მოსწავლეთა განსხვავებულ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რის გამოც ყველა მოსწავლე ერთნაირად ვერ ერთვება სასწავლო პროცესში. რჩევა:

	• კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას მეტად მოხდეს მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის აქტიური და თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის სასწავლო პროგრამების ანალიზი ცხადყოფს, რომ შეთავაზებული აქტივობები გამოირჩევა მრავალმხრივობითა და ინტეგრირებული ხასიათით. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ ცოდნა, გააერთიანონ სხვადასხვა საგნობრივი გამოცდილება და საკუთარი შეხედულებები, დამოკიდებულებები თუ ემოციები გამოხატონ მათთვის მისაღები, ინდივიდუალურად შერჩეული და კრეატიული ფორმებით. ამგვარი აქტივობები ხელს უწყობს როგორც შემოქმედებითი, ისე კრიტიკული აზროვნების განვითარებას და აძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები, ასევე, მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დავალებები ადაპტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. კერძოდ, მასწავლებლები მიზანმიმართულად ახდენენ სამუშაო გარემოსა და პირობების მოდიფიცირებას, არეგულირებენ დავალებების სირთულის დონეს და არჩევენ შესაბამის სასწავლო რესურსებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინკლუზიურ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და მათი პოტენციალის სრულყოფილ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. სკოლას გატარებული აქვს რემედიაციული პოლიტიკაც.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სკოლაში სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებს კლასკომპლექტი, რომლის ფარგლებში მასწავლებელი ერთდროულად მუშაობს ორ კლასთან და სასწავლო მასალის მიწოდებას ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ თითოეული მოსწავლის ჩართვას სასწავლო აქტივობებში, მიუხედავად მათი აკადემიური მზაობის, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისა. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა სირთულის დავალებები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ფორმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალფეროვანი შესაძლებლობების გათვალისწინებას. მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში სთავაზობენ მოსწავლეებს დამატებით მხარდაჭერას ან ალტერნატიულ დავალებებს, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და სასწავლო პროცესში სრულფასოვან მონაწილეობას. ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავად აირჩიონ შემოქმედებითი დავალების წარდგენის ფორმა, რაც ზრდის მათ მოტივაციასა და თვითგამოხატვის უნარს. დავალებები სტრუქტურირებულია მარტივიდან რთულისკენ, რაც უზრუნველყოფს ცოდნის ეტაპობრივ განვითარებას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის რესურსები, მათ შორის ვიდეომასალა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა მსწავლელთა ტიპის მოსწავლეთა გააქტიურებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მათთვის ეფექტური სხვადასხვა საშუალებით. სკოლას აქვს

	კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის გამოცდილება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე სრული აქცენტებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი დავალებები, აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრა ერთობლივად მუშაობს შეფასების ფორმების შექმნასა და დახვეწაზე. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე** • შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს და თემის ინდიკატორებს.

	• შემუშავდეს კონკრეტული დავალების/აქტივობის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. • **საბაზო და საშუალო საფეხურებზე**, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გადაიხედოს და უფრო დაიხვეწოს. • **დაწყებით საფეხურზე** განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობოდეს დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების რუბრიკები განთავსებულია სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად ისინი გამოიყენებელ რეიტინგულ წერასაც. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე** • კათედრამ თითოეული თემის ფარგლებში შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს, რამდენად აღწევს მოსწავლე შედეგების ინდიკატორებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. **საბაზო და საშუალო საფეხურზე** • კათედრამ თითოეული თემის ფარგლებში შეიმუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს, რამდენად აღწევს მოსწავლე შედეგების ინდიკატორებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლამ წარმოდგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. **რჩევები:** **სამივე საფეხურზე** • ყველა თემის ფარგლებში, სტანდარტით გათვალისიწნებულ შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. • შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს კონკრეტული სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი ან საკითხი) შესწავლის შედეგად მიღწეული შედეგები. • სტანდარტის მოთხოვნების სრულად დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. • შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ გაცემული რეკომენდაციები შეესაბამებოდეს მისაღწევ მიზნებსა და მოსწავლეთა ენის ფლობის დონეს. **საბაზო და საშუალო საფეხურზე** • ყველა თემის ფარგლებში, სტანდარტით გათვალისიწნებულ შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პედაგოგების მიერ ინტერვიუს დროს აღწერილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ კათედრა სისტემურად იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და შედეგების ობიექტურ განსაზღვრას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის ეტაპობრივ მონიტორინგს და აძლევს მათ შესაძლებლობას, უკეთ გააცნობიერონ საკუთარი მიღწევები და განვითარების მიმართულებები. შეფასების პროცესში პედაგოგები მიმართავენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და მკაფიოდ გაწერილ რუბრიკებს, რომლებიც დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას,

	თანმიმდევრულობასა და სამართლიანობას, ასევე ამყარებს პირდაპირ კავშირს სასწავლო მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების სიღრმისეული შეფასებისა და განვითარებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილ ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. სკოლაში იყენებენ ანალიტიკური ტიპის შეფასების რუბრიკებს, იშვიათად - ჰოლისტურსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის სისტემურ აღრიცხვას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას. გაკვეთილებზე და შეფასების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმები, რაც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. მასწავლებლები მოსწავლეებს დროულ უკუკავშირს აწვდიან, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. დაწყებით კლასებში (I-IV და V კლასის პირველი სემესტრი) გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო დანარჩენ კლასებში როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების როლი კარგად აქვთ გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ

	უკუკავშირს მასწავლებლისგან, შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, რომლებიც სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული სასწავლო თემისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **რჩევა:** **სამივე საფეხურისთვის** • განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების პირობაში განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და მოთხოვნები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობასა და მის შესაბამისობას დავალების შინაარსთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმები
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალებების ბარათები, დანართები და შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული სასკოლო პროექტების ამსახველი მასალა
- საკლუბო მუშაობის გეგმა და რეფლექსია
- სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტომასალა
- მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასების ამსახველი მასალაები
- შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ამსახველი მასალა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც სასწავლო პროცესს თანმიმდევრულს და მიზნობრივს ხდის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები

	და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში თემატურად გაწერილია ადაპტირებული, შემოქმედებითი ტიპის დავალებები. აღნიშნული დავალებები შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასში ასახული და დაცული მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრები, ნათლად ადასტურებს აღნიშნული აქტივობების განხორციელებასა და მათ ეფექტიანობას. ეს მასალები ცხადყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში, ავლენენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკულ კონტექსტში და ქმნიან ინდივიდუალურ, შემოქმედებით პროდუქტებს, რაც მათი განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა მასწავლებლები სიტუაციურად ართულებენ ან ამარტივებენ სასწავლო პროცესში აქტივობებს, საკითხებსა და დავალების პირობებს. იშვიათად იცვლება პროდუქტის ერთი სახე მეორეთი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გაკვეთილების დაგეგმვა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მიზნებს, ამოცანებსა და სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების სისტემურობასა და თანმიმდევრულობას. სასწავლო აქტივობები, მეთოდები და რესურსები შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს საგნობრივი შინაარსის ეფექტურად მიწოდებასა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილებს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც

	თეორიული ცოდნის მიღება, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტების ნიმუშები კურიკულუმში დაგეგმილი დავალებების შესაბამისია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში სასკოლო პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. მასწავლებელი წლის დასაწყისში შეიმუშავებს, ცვლის, ანახლებს სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავს სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეესაბამება სკოლის დოკუმენტაციას და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები და ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („სასკოლო სასწავლო გეგმა“, „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, „მე-7 კლასის სადამრიგებლო პროგრამა“, „რემედიაციის გამოყენების წესი“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მიზნით იყენებს სხვადასხვა მხარდამჭერ მექანიზმს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული და მოქნილი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მისი ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები, ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები. დოკუმენტში ხაზგასმულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა და ინკლუზიური განათლების პრინციპები. სკოლა უზრუნველყოფს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ითვალისწინებს ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, დამატებითი მეცადინეობებისა და ალტერნატიული აქტივობების გამოყენებას.

„მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის“ მიხედვით, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, უნარებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს, ხოლო ადაპტაციის პროცესს აღნიშნული ფაქტორების შესაბამისად გეგმავს. დოკუმენტში აღწერილია მოსწავლის ინტეგრაციის, მენტორინგისა და მხარდაჭერის ეტაპები. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ხელმძღვანელობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის მარეგულირებელი წესებით.

სადამრიგებლო პროგრამა ადასტურებს, რომ სკოლა მოსწავლეთა ასაკობრივი და სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია ადაპტაციის, კომუნიკაციის, ბულინგის პრევენციის, კონფლიქტების მართვის, პროფესიული ორიენტაციისა და ემოციური მხარდაჭერის საკითხებზე. ამავე დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი ინდივიდუალურად მუშაობს აკადემიური და ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლეებთან და თანამშრომლობს მშობლებთან და საგნის მასწავლებლებთან.

„რემედიაციის წესის“ მიხედვით, სკოლა დამატებით მხარდაჭერას სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ვერ აღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. რემედიაცია მოიცავს ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფურ მუშაობას და მიზნად ისახავს აკადემიური ჩამორჩენისა და ფუნქციური სირთულეების დაძლევას.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მიხედვით, სკოლა პერიოდულად აფასებს სასწავლო პროცესსა და კურიკულუმს, სწავლობს არსებულ სირთულეებს, იღებს უკუკავშირს და რეკომენდაციების საფუძველზე გეგმავს გაუმჯობესების ღონისძიებებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა

მცირერიცხოვნობის გამო საგაკვეთილო პროცესი გარკვეულ შემთხვევებში ნაკლებად მრავალფეროვანი და საინტერესოა მოსწავლეთათვის. მშობლებმა და მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების მონაწილეობით უფრო მეტად დაიგეგმოს და განხორციელდეს ერთობლივი სასწავლო აქტივობები.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლა სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ახორციელებს მოსწავლეთა ინდივიდუალური, აკადემიური და სოციალური საჭიროებების გამოვლენასა და მათზე მოქნილ რეაგირებას.

რჩევები:

- სკოლამ პერიოდულად შეაფასოს განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შედეგიანობა.
- სკოლამ მოსწავლეთა ინტერესებისა და სოციალური ჩართულობის გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით უფრო მეტად დაგეგმოს ერთობლივი სასწავლო და პროექტული აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, მათი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, შეფასების რუბრიკები ეყრდნობა მიღწევათა ინდიკატორებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების ფორმებს აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე, წლის დასაწყისში. **რჩევები:** **სამივე საფეხური**

	• კონკრეტული თემებისთვის მომზადდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. • შემაჯამებელი სამუშაოს დავალების თითოეულ ტიპს ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა და მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ჩართულობას, წაკითხულის გააზრებას, მოსმენილის გაგებას, მეტყველებას, წერით უნარებს. **რჩევა:** **სამივე საფეხურზე** • შეფასების რუბრიკების შედგენისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით (იხ. საგნობრივი სტანდარტი, ცხრილი 4) და ეს კრიტერიუმები დაკონკრეტდეს კონკრეტული თემის შინაარსის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე დანერგილია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. იგი წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანულ და განუყოფელ ნაწილს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და თანამონაწილეობას, რაც ზრდის მის ეფექტიანობას. შეფასება ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობასა და ვალიდურობას. გამოიყენება შეფასების როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი ფორმები, რაც იძლევა მოსწავლეთა პროგრესის მრავალმხრივად დანახვის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, სისტემატურად აკვირდებიან შედეგებს და მზად არიან მათი შემდგომი დახვეწისა და

	გაუმჯობესებისთვის, რაც მიუთითებს პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლამ წარმოადგინა შეფასებათა რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა მიღწევათა ინდიკატორებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და შეფასების რუბრიკებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და ამცირებს სუბიექტურობის რისკს. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში და ნათლად განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და დონეებს. აღნიშნული რუბრიკები წინასწარ ეცნობებათ როგორც მოსწავლეებს, ისე მშობლებს (მშობელთა კრების ოქმი N1, 16/09/2025 წელი), რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ზრდის ნდობას და ქმნის ერთიან გაგებას შეფასების მოთხოვნებისა და მოლოდინების შესახებ. მოსწავლეები ფასდებიან საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ დავალებებში განმავითარებელი ან/და განმავითარებელი და განმსაზღერელი შეფასებით. მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს და მათ შორის შეფასების სისტემას შეფასების პროცესი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ და დასაბუთებულ შეფასებას. მტკიცებულებად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც თემის ფარგლებში აფასებს სამიზნე ცნებების გააზრებას, მათ შორის კავშირების დამყარების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და ანალიზის უნარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	**ს**მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

	სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია შეფასების ობიექტურ ინსტრუმენტებზე. გამჭვირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ (ბრძანება N 2ს-07) - შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ხარისხის კონტროლისა და ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობის, ობიექტურობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას. დოკუმენტში განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესის მიზნები, რაც მოიცავს შეფასების სისტემის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას, შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანობის განსაზღვრასა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობას. ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს შეფასების პროცესზე დაკვირვებას, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და დოკუმენტაციის ანალიზს, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებას. დოკუმენტში, აგრეთვე, განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. აღნიშნულია, რომ

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი აქტივობებისა და მონიტორინგის განხორციელება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.
სკოლამ, ასევე, წარმოადგინა წერითი ნაშრომების, ტესტების, პროექტების, პრეზენტაციებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რაც ადასტურებს შეფასების სისტემის პრაქტიკაში განხორციელებულ მონიტორინგსა და შეფასებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - „საქმისწარმოების ერთიანი წესი“ (ბრძანება N 2-30) - შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის აღრიცხვისა და შენახვის წესი. დოკუმენტი არეგულირებს დოკუმენტბრუნვის, ელექტრონული საქმისწარმოების და საარქივო საქმიანობის პროცესებს.
დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა „eFlow“, რომლის საშუალებითაც ხორციელდება დოკუმენტების რეგისტრაცია, აღრიცხვა და შენახვა. ასევე, სკოლაში შექმნილია არქივი, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების დაცვას, აღრიცხვასა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებას.
დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს ინახავს არანაკლებ 3 წლის ვადით.
ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას განსაზღვრული ვადით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის შესახებ ბრძანება (N 2ს-07)
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- რემედიაციის გამოყენების წესი
- საქმისწარმოების ერთიანი წესი
- ბრძანება საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ (N 02-30)
- მე-7 კლასის სადამრიგებლო პროგრამა
- საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები
- კლასის კრების ოქმი
- კათედრების სხდომების ოქმები
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და ანალიზი
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები და მათი ანალიზი
- შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ამსახველი მასალა
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- საკლასო პროექტის განხორციელების დამადასტურებელი მასალები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების უმეტესობაში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. ძირითად რესურსად განსაზღვრულია სახელმძღვანელოს კონკრეტული გვერდები, ხოლო დამხმარე რესურსებად - სხვადასხვა ონლაინ პლატფორმა. თუმცა, დამხმარე რესურსების ჩამონათვალი მწირია და არ მოიცავს სხვადასხვა პლატფორმიდან მრავალფეროვან მასალას. ამასთან, მითითებული არ არის შესაბამისი ელექტრონული მისამართები. **რჩევა:** • **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმებში თითოეულ თემას, ძირითად რესურსთან ერთად, ერთვოდეს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი და შესაბამისი ონლაინ რესურსების აქტიური ელექტრონული ბმულები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში, ძირითადად, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები მიჰყვება ძირითად რესურსად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ თემებთან. ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა, შემოქმედებითი დავალებების განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტრონულ რესურსებსა და რუკებს, რომლებიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას.

	კათედრას აქვს მზაობა შეარჩიოს დამხმარე რესურსი, რომელიც კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალები და დამხმარე საშუალებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული რესურსები მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კურიკულუმში დეტალურად არის მითითებული სასწავლო რესურსები, რაც ამარტივებს სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და განხორციელებას. რესურსების წინასწარ განსაზღვრა მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მიზანმიმართულად დაგეგმოს გაკვეთილები, ეფექტიანად შეარჩიოს შესაბამისი აქტივობები და შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. შედეგად, სწავლა-სწავლების პროცესი ხდება უფრო ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმების გაცნობისა და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სასწავლო პროცესში მიზნობრივად და შესაბამისი დანიშნულებით გამოიყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი მიზნობრივად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლები სწავლა-სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან როგორც სავალდებულო, ისე დამატებით რესურსებს, რომლებიც განსაზღვრულია კურიკულუმით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის მრავალმხრივად მიწოდებას და მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ლაბოლატორია), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც (დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები) მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში ეფექტიანად არის ინტეგრირებული კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მასალები - სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება და ინტერნეტრესურსები, რაც ხელს უწყობს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან მხოლოდ ფიზიკას აქვს კაბინეტი, სადაც განთავსებულია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მწირი სასწავლო რესურსები. პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მცირე რესურსებით და იაფი მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. სასურველია

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტის/კაბინეტების გამოყოფა და მისი აღჭურვა სველი წერტილით, ამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდით ცდების ჩასატარებლად, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. **რჩევა:** • ვინაიდან სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ჩვენებას შესაბამისი კაბინეტ-ლაბორატორიისა და მატერიალური რესურსების არქონის გამო, **საბაზო და საშუალო საფეხურზე,** გამოიყენოს რესურსები სხვადასხვა პლატფორმიდან და ამ გზით უზრუნველყოს მოსწავლეთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვიზუალურად აღსაქმელ სამუშაოებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. საზოგადობერივი მეცნიერებების კათედრის მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. ამას ადასტურებს წარმოდგენილი მასალაც, რაც შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად, თემატური ერთეულების მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან რესურსის შერჩევის სტრატეგიები და დიდ ყურადღებას აქცევენ სანდოობას, მოქნილობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის (მუსიკა/ხელოვნება) მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების მიზნობრივ შერჩევასა და მათ ვალიდაციას.

	აღნიშნული პრაქტიკა მიმართულია მოსწავლეთა ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვისკენ და უზრუნველყოფს, რომ მათ არ მიეწოდოს გადაუმოწმებელი ან მცდარი ინფორმაცია. პედაგოგების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალა ზუსტად შეესაბამება თემატიკას, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მოქმედ სასწავლო პროგრამას. ამგვარი თანხვედრა განაპირობებს სწავლების პროცესის ხარისხს, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას, ასევე ხელს უწყობს სანდო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს ისეთ სასწავლო რესურსებს, რომლებიც შეესაბამება ცნებების, თემების/ქვეთემებისა და საკითხების ეფექტიანად შესწავლას. მასწავლებლები, საჭიროებების შესაბამისად, არჩევენ და სასწავლო პროცესში იყენებენ დამატებით რესურსებს, რომელთა შინაარსი და დანიშნულება შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკისა და ისტ-ის კათედრაზე სისტემატურად ხორციელდება იმ საგანმანათლებლო რესურსების შემოწმება და შეფასება, რომლებიც დამატებითი სასწავლო რესურსის სახით გამოიყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნული პროცესის მიზანია, კათედრამ უზრუნველყოს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დამატებითი რესურსები შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და საგნობრივ სტანდარტებს. შეფასების ფარგლებში კათედრა განსაზღვრავს, რამდენად ემსახურება დამატებითი რესურსი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ასევე, ფასდება რესურსის შინაარსი, დიზაინი და სხვა მახასიათებლები, რათა არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს, მათ შორის ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების ან სხვა ნიშნით. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა მათემატიკისა და ისტ-ის კათედრის სხდომის ოქმი (№1, 04.09.2025), რომელიც ადასტურებს, რომ კათედრის სხდომაზე განხორციელდა

	დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების შეფასება ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. ამ მიზნით, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელთა განხორციელებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრების მუშაობის პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და ერთობლივი მუშაობის საფუძველზე განისაზღვრება დამატებითი რესურსები, ასევე კოლეგიური თანამშრომლობით ხორციელდება მათი ვალიდაციაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის: სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასა და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები, აგრეთვე, იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით (თემა, მიზნები და ა.შ.). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას არ აქვს კაბინეტი, აქვს მწირი მატერიალური რესურსები. თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მცირე რესურსებით, იაფი მასალებით უზრუნველყოფენ ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. **რჩევები:** **საბაზო და საშუალო საფეხურზე** • სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის კაბინეტის გამოყოფა და მისი აღჭურვა სველი წერტილით, ამწოვი კარადით, ცეცხლგამძლე ზედაპირით ცდების ჩასატარებლად, სასწავლო რესურსებითა და რეაქტივებით. • სკოლამ ინტენსიურად გამოიყენოს ვირტუალური ლაბორატორია და რესურსები სხვადასხვა ონლაინ პლატფორმიდან, მოსწავლეებისათვის შესასწავლი მასალის ვიზუალურად აღქმის გასამარტივებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რასაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. სასკოლო გარემო, სახელმძღვანელოები, რესურსები და სასწავლო სივრცე, შესაბამისობაშია კლასში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო აქტივობები და პროექტები ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შესაბამისი მატერიალური რესურსების არსებობა და მიზნობრივი გამოყენება. აღნიშნული რესურსები ქმნის საფუძველს ესთეტიკური მიმართულების სწავლების ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული განხორციელებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სკოლაში არსებული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. კერძოდ, მათემატიკის გაკვეთილებზე გამოიყენება მრავალფეროვანი თვალსაჩინო და პრაქტიკული რესურსები, მათ შორის: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, მაგნიტური სამაგრებით დამაგრებული რიცხვები, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და სხვა. კურიკულუმებში ასევე გათვალისწინებულია ციფრული რესურსების გამოყენება. ამ მიზნით სკოლა იყენებს შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობას, მათ შორის კომპიუტერსა და პროექტორს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებასა და ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლა აღჭურვილია მატერიალური რესურსით, რაც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. კერძოდ: სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამ პროცესში თანაბრად ჩართონ სკოლის ყველა მოსწავლე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა: კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია შესაბამისი ინვენტარითა აღჭურვილი საკლასო ოთახები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს

კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების შერჩევასა და კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო პროფესიული რესურსის არსებობას. დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით. თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლებისთვის დადგენილია კანონმდებლობასა და პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისი მოთხოვნები. დოკუმენტი, ასევე, განსაზღვრავს კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

სკოლა მცირეკონტიგენტიანია, თუმცა დირექცია მაქსიმალურად ცდილობს კვალიფიციური კადრების მოზიდვის ხელშეწყობას. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში. აღნიშნული დასტურდება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსებული ინფორმაციითაც. პედაგოგთა კვალიფიკაცია, ასევე, ვლინდება მათ მიერ განხორციელებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი სასწავლო აქტივობებით, საკლასო და სასკოლო პროექტებით.

ამასთან, სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, სამუშაოს შეფასებასა და ახალი თანამშრომლების ადაპტაციის მხარდაჭერაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 ს.წ.)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის შესახებ ბრძანება (N 2ს-07)
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
- მასწავლებელთა პირადი საქმეები

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრების სხდომების ოქმები
- სკოლის მიერ განხორციელებული საკლასო და სასკოლო პროექტები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები და მათი ანალიზი
- შესრულებული შემოქმედებითი დავალები
- ჩატარებული გაკვეთილი გეგმები და დასწრების უკუკავშირები
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზი
- სასწავლო პროცესში გამოყენებული ციფრული და მატერიალური საგანმანათლებლო რესურსები
- სასწავლო სივრცეების ამსახველი ფოტომასალა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ და „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კურიკულუმი ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას. პროცესი ითვალისწინებს შედეგების ანალიზს, უკუკავშირის მიღებასა და მიღებული ინფორმაციის გამოყენებას კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესისა და კურიკულუმის მონიტორინგის, შეფასებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გაუმჯობესების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა პერიოდულად აფასებს მიმდინარე პროცესებს, სწავლობს არსებულ გამოწვევებს და გეგმავს შესაბამის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ ითვალისწინებს შეფასების პროცესის, შეფასების ინსტრუმენტებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა კომპლექსური დავალებების, ტესტების, პროექტებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რაც შეფასების სისტემის პრაქტიკაში განხორციელებულ მონიტორინგს ადასტურებს.

ამასთან, წარმოდგენილი „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“ საგნობრივი კურიკულუმების შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით მოიცავს. მათ შორის: სწავლის შედეგების მიღწევის, სასწავლო რესურსების, შეფასების სისტემისა და ადამიანური რესურსის შესაბამისობის კუთხით. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს გამოვლენილი გამოწვევების აღწერასა და შესაბამისი მტკიცებულებების მითითებას.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („რემედიაციის გამოყენების წესი“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრისთვის.

„რემედიაციის გამოყენების წესის“ მიხედვით, სკოლა შეფასების შედეგების საფუძველზე ავლენს მოსწავლეთა აკადემიურ სირთულეებს და გეგმავს შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებს, მათ შორის ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფურ მუშაობას. დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს მოსწავლის პროგრესის შემდგომ მონიტორინგს.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესისა და კურიკულუმის შეფასების, პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების, უკუკავშირის მიღებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვის მექანიზმებს.

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ მიხედვით, სკოლა ახორციელებს შეფასების პროცესისა და შეფასების ინსტრუმენტების ანალიზს, ავლენს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და მიღებული შედეგების საფუძველზე გეგმავს შესაბამის ცვლილებებსა და რეკომენდაციებს.

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს კურიკულუმის პერიოდულ გადახედვას, შედეგების ანალიზსა და მონაცემებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას. „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიშში“ კი ასახულია კურიკულუმის შეფასება სხვადასხვა მიმართულებით, გამოვლენილია გამოწვევები და წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი გამოიყენება პრობლემების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების დაგეგმვის საშუალებად.

რჩევები:

- საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ანგარიშებში უფრო დეტალურად გამოიკვეთოს გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებები.
- სკოლამ პერიოდულად შეაფასოს შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი მხარდამჭერი აქტივობების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („რემედიაციის გამოყენების წესი“, „სადამრიგებლო პროგრამა“, „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე.

„რემედიაციის გამოყენების წესის“ მიხედვით, შეფასების შედეგების საფუძველზე სკოლა ავლენს მოსწავლეთა აკადემიურ სირთულეებს და გეგმავს შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებს, მათ შორის ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფურ მუშაობას. „სადამრიგებლო პროგრამა“ და „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ ასევე ითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური საჭიროებების გამოვლენას, მხარდაჭერასა და პროგრესის მონიტორინგს.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ განსაზღვრავს შეფასების, უკუკავშირის მიღებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გაუმჯობესების მექანიზმებს, რაც სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებასა და მონაწილეთა მხარდაჭერას ემსახურება. „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ კი ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას.

ამასთან, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, თანამშრომელთა შეფასება გამოიყენება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოსავლენად და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. დოკუმენტი შეფასებას განიხილავს როგორც განვითარების, მხარდაჭერისა და კონსტრუქციული უკუკავშირის მექანიზმს.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას, განვითარებასა და მათ საჭიროებებზე დროულ რეაგირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში
- რემედიაციის გამოყენების წესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და კათედრის სხდომის ოქმების) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებსა და მტკიცებულებებს.

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ მიხედვით, შეფასების პროცესში გამოიყენება წერითი ნაშრომების, ტესტების, პროექტების, პრეზენტაციებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს შეფასების პროცესზე დაკვირვებას, მოსწავლეთა ნამუშევრების, დოკუმენტაციისა და სხვა მტკიცებულებების შესწავლას.

„საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“ მოიცავს კურიკულუმის შეფასებას სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის: სწავლის შედეგების, სასწავლო რესურსების, შეფასების სისტემისა და ადამიანური რესურსის შესაბამისობის კუთხით.

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ განსაზღვრავს შედეგების ანალიზის, უკუკავშირის მიღებისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. ამასთან, კათედრის სხდომის ოქმებში ასახულია სასწავლო თემების, შეფასების ინსტრუმენტებისა და მოსწავლეთა შედეგების განხილვის პროცესი.

წარმოდგენილი პრაქტიკული მასალები (კომპლექსური დავალებების, პროექტების, რეფლექსიებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი) ასევე ადასტურებს, რომ შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებსა და მტკიცებულებებს. კომპლექსურ დავალებებში, პროექტებში, რეფლექსიებსა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტი, მათ შორის პრეზენტაციები, პროექტები, წერითი ნამუშევრები, დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი უკუკავშირი, თვითშეფასება და ანალიტიკური კომენტარები.

წარმოდგენილი მასალები აჩვენებს, რომ შეფასება მოიცავს როგორც აკადემიური ცოდნის, ისე კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების შეფასებას.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება ეფუძნება მრავალფეროვანი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს.

რჩევები:

- სკოლამ კიდევ უფრო გააძლიეროს თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების გამოყენების პრაქტიკა.
- სკოლამ სხვადასხვა საგანში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და რუბრიკების გაზიარების პრაქტიკა უფრო სისტემურად დანერგოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „რემედიაციის გამოყენების წესი“, „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ და „სასკოლო სასწავლო გეგმა“) შესწავლისა და, ასევე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, პროექტების, რეფლექსიებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“ განსაზღვრავს შეფასების სისტემურ და მრავალმხრივ მიდგომას. დოკუმენტები ითვალისწინებს სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგების, შეფასების ინსტრუმენტების, სასწავლო რესურსებისა და კურიკულუმის შესაბამისობის ანალიზს. შეფასების პროცესი ეფუძნება უკუკავშირის მიღებას, მონაცემების ანალიზსა და მიღებული შედეგების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შეფასების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი აქტივობები და ინსტრუმენტები, მათ შორის: პროექტები, პრეზენტაციები, ზეპირი გამოსვლები, პოსტერები, წერითი ნაშრომები, ტესტები, კომპლექსური დავალებები, დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი. შეფასება მოიცავს როგორც აკადემიური ცოდნის, ისე კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

დოკუმენტებსა და წარმოდგენილ პრაქტიკულ მასალებში, ასევე, ჩანს, რომ შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, სოციალური და ემოციური კონტექსტი. რეფლექსიებსა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში ასახულია განსხვავებული აკადემიური საჭიროებები, ინდივიდუალური მხარდაჭერის ფორმები, დავალებების ადაპტირება და ეტაპობრივი დახმარების მექანიზმები. კომპლექსური დავალებები და შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს სხვადასხვა პერსპექტივიდან მსჯელობას, ინდივიდუალური და სოციალური კონტექსტის გააზრებას, თვითშეფასებას, თანატოლთა შეფასებასა და განმავითარებელ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „რემედიაციის გამოყენების წესი“) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ მიხედვით, შეფასების პროცესში გამოიყენება დაკვირვება, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, ტესტები, პროექტები, პრეზენტაციები, გასაუბრება, დოკუმენტაციის ანალიზი და შემაჯამებელი დავალებები. „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, ასევე, ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით მონაცემებისა და მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზს. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ კი განსაზღვრავს უკუკავშირის მიღების, მონიტორინგისა და მონაცემების ანალიზის მექანიზმებს. ხოლო „რემედიაციის გამოყენების წესი“ ითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური სირთულეების გამოვლენას, პროგრესის მონიტორინგსა და შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას.

წარმოდგენილი პრაქტიკული მასალები (კომპლექსური დავალებების ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი) ადასტურებს შეფასების მრავალფეროვან მიდგომებს. კომპლექსურ დავალებებსა და რეფლექსიებში გამოყენებულია შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასება, დაკვირვება, თვითშეფასება, ანალიტიკური კომენტარები, ინდივიდუალური ანგარიშები, ზეპირი პრეზენტაციები, პროექტები და წერითი ნამუშევრები.

ამასთან, ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს როგორც რაოდენობრივი (ქულები), ისე თვისებრივი (კომენტარები, განმავითარებელი შეფასება) მონაცემების სისტემატურ აღრიცხვასა და ანალიზს.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, „რემედიაციის გამოყენების წესი“, „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, „სასკოლო სასწავლო გეგმა“, „დამრიგებლის პროგრამა“, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“) ანალიზის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

დოკუმენტების მიხედვით, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, აკადემიური პროგრესი, სოციალური და ემოციური მდგომარეობა, ინტერესები და საგანმანათლებლო საჭიროებები. „სასკოლო სასწავლო გეგმა“ და „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, დიფერენცირებული სწავლებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას. „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ და „დამრიგებლის პროგრამა“, ასევე, ითვალისწინებს მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და ქცევითი თავისებურებების შეფასებასა და შესაბამის მხარდაჭერას.

„რემედიაციის გამოყენების წესი“ განსაზღვრავს მოსწავლეთა აკადემიური სირთულეების გამოვლენას, პროგრესის მონიტორინგსა და ინდივიდუალური მხარდაჭერის დაგეგმვას. ხოლო „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ ითვალისწინებს შეფასების პროცესის, შეფასების ინსტრუმენტებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების მრავალმხრივ ანალიზს. „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“ ასევე მოიცავს სწავლის შედეგების, სასწავლო პროცესის, რესურსებისა და შეფასების სისტემის სხვადასხვა მიმართულებით შეფასებას.

წარმოდგენილი პრაქტიკული მასალები (კომპლექსური დავალებების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზები) ადასტურებს შეფასების მრავალმხრივ მიდგომებს. კომპლექსურ დავალებებსა და რეფლექსიებში გამოყენებულია განმავითარებელი შეფასება, ინდივიდუალური უკუკავშირი, დაკვირვება, შეფასების რუბრიკები, ანალიტიკური კომენტარები. პრაქტიკული მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციაში დასტურდება პროექტების, ზეპირი პრეზენტაციებისა და წერითი ნამუშევრების შესრულება. მასალებში ასევე ასახულია მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, დავალებების ადაპტირება და მხარდაჭერის განსხვავებული ფორმების გამოყენება.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა აკადემიური, ინდივიდუალური, სოციალური და საგანმანათლებლო ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამები
- რემედიაციის გამოყენების წესი
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026)
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში
- მასწავლებელთა რეფლექსიები
- კომპლექსური დავალებების ანლიზები
- მოსწავლეთა მიღწევების ანალიზები
- ელექტრონული ჟურნალი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“), ასევე, წარმოდგენილი რეფლექსიებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარების პროცესს უკავშირებს მონიტორინგის, შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მექანიზმებს.

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს კურიკულუმის პერიოდულ გადახედვას, შედეგების ანალიზსა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ ასევე განსაზღვრავს პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების, რეკომენდაციების შემუშავებისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს.

ამასთან, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, კომპლექსური დავალებების ანალიზები და მასწავლებელთა რეფლექსიები ასახავს სასწავლო პროცესში გამოვლენილ საჭიროებებს, სირთულეებსა და შემდგომი გაუმჯობესების

მიმართულებებს. წარმოდგენილ მასალებში მითითებულია რეკომენდაციები, მხარდაჭერის ფორმები, დავალებების ადაპტირების საჭიროება და შემდგომი განვითარების გზები.

ამავდროულად, ვინაიდან სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი ამ ეტაპზე ჯერ დასრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პრაქტიკული მასალების მიხედვით იკვეთება, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის („კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“), ასევე წარმოდგენილი მასწავლებელთა რეფლექსიებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა კურიკულუმის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესს უკავშირებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს.

„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს კურიკულუმის პერიოდულ გადახედვას, წინარე გამოცდილების გაანალიზებას, უკუკავშირის მიღებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ ასევე განსაზღვრავს მონიტორინგის, შეფასების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და რეკომენდაციების შემუშავების მექანიზმებს.

ამასთან, „საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში“, მასწავლებელთა რეფლექსიები და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზები ასახავს სასწავლო პროცესში გამოვლენილ სირთულეებს, საჭიროებებსა და გაუმჯობესების მიმართულებებს. წარმოდგენილ მასალებში მითითებულია რეკომენდაციები, მხარდაჭერის ფორმები, დავალებების ადაპტირების საჭიროება და შემდგომი განვითარების გზები.

ამავდროულად, ვინაიდან სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, კურიკულუმის სრულმასშტაბიანი გადასინჯვისა და გადამუშავების პროცესი ამ ეტაპზე ჯერ დასრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და

პრაქტიკული მასალების მიხედვით იკვეთება, რომ სკოლა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს განიხილავს კურიკულუმის შემდგომი განვითარების, მხარდაჭერისა და გაუმჯობესების საფუძვლად.
ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში კურიკულუმის განვითარება დაეფუძნება წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ანგარიში
- მასწავლებელთა რეფლექსიები
- მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი 27.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელი, გვარი	**ხელმოწერა**
მაკა კაჭკაჭიშვილი	
რუსუდანი არზიანი	
ეკა კობიაშვილი	
თამარ ჩალახეშაშვილი	
ეთერ ქუთათელაძე	

ჟანა ბელქანია

როლანდი ხოჯანაშვილი

ლიანა კობესაშვილი

საბა დარსაველიძე

ეკატერინე მაკარაძე